



1705918216051

www.info.court.ge

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**

**სარჩელის წარმოებაში მიღების და დასაშვებად ცნობის შესახებ**

**საქმე №3/2303 -15**

**06.04..2015 წელი**

**თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია**  
**მოსამართლე ილონა თოდუა**

**მოსარჩელე :** ააიპ „მწვანე ალტერნატივა“

**მოპასუხე :** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო,  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2015 წლის 31 მარტს სარჩელით მომართა ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენელმა მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სსიპ მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწყვეტილების, 2014 წლის 31 დეკემბრის № 478/ს ბრძანებისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის №ი-142 ბრძანების ბათილად ცნობა.

სასამართლომ განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიაჩნია, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს და იგი მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც სასარჩელო განცხადება დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება, გაეცნო რა თანდართულ მასალებს მიაჩნია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეში შპს „RMG Gold“ ჩაბმულ უნდა იქნეს მესამე პირად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.

სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ უნდა იქნეს შპს „RMG Gold“ ვინაიდან იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 22-24-ე, 26<sup>2</sup> მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე, 445-446-ე, 284-285-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი მიღებულ იქნეს წარმოებაში და მიჩნეულ იქნეს დასაშვებად.
2. ადმინისტრაციულ საქმეში №3/2303-15 მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ჩაბმულ იქნეს შპს „RMG Gold“.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 448-ე მუხლით დადგენილი წესით, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს მოპასუხე მხარეს.
4. განჩინების მეორე პუნქტზე შეიძლება კერძო საჩივრის შემოტანა მხოლოდ საქმეში მესამე პირად ჩაბმული პირის მიერ თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ/ №6) განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში.

5. განჩინებაზე სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ კერძო საჩივრის შემოტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე**

**ილონა თოდუა**